

ანუ ფარული აღებ-მიცემობა საერთაშორისო მორალით.

ღ ე ნ ი ნ ს


შენ საქმეს დიადს და მზიურ სახეს
გულში ვინახავთ ძვირფასო ლენინს,
სიბნელით მოცულ, გაყინულ ხალხებს
ტანზე ჩააცვი მზის სამოსელი.
შენი ძახილი მოშავდა ქუხილს,
თავისუფლება სად არ მოშვინე,
მოსპე ერებში მტრობა და შუღლი,
ძმობის სიმები ააწყობინე.
მშრომელებს მზისკენ გზას ვინც უხსნიდა
და ჩაგრულების ხსნას ვინც ლამობდა,
შურთხიც ჩაოშკრავს ზარს კიუხიდან
და მასზე იტყვის ხმატკბილ ვალობას.
გიმდერს გორებიც ნისლში შესული,
ბოლო მოელა მთაშიც ჯურღმულებს,
მას დიდებო, იტყვის ხევსური,
შენზე სიმღერას დაიღუღუნებს.
ძმას არ სწყურია ახლა ძმის სისხლი,
მომქმს ვინ მოსჭრის ახლა მარჯვენას,
წინ შენი ბრძნული აზრი მიგვიძღვის,
დიდი სტალინის მზემ დაგვამშვენა.
ხალხის გული ხარ, ხალხის სიწმინდე,
სამშობლოს გულში მარად ვნთები,
მრავალი წელი გაივლის კიდევ
შენ კი არადროს არ დაბერდები.
მუდამ ხსენებამ ზარდოს, ვინც გზარდა,
ვინც საუკუნოდ ლოცავდა შენს ხმას,
თურმე ციური მნათობის გარდა
მას მეორე მზე მოაყავდა ქვეყნად.
დღესაც ბრძოლაში, ამ ცეცხლის დროში,
მხარში უდგენარ მარშალ ჯულაშვილს,—
სტალინის გეგმით და შენი დროშით,
მალე მტერს ჩავლევთ შავ-ბნელ ბუნაგში.

ირაკლი არაბული

"შიუკაი" და კითხვითი ნიშანი

მე ბერლინში, ერთ საუბარს შევესწარი გუშინ დილით,
ბაასობდენ გებელსი და „ფიურერი“ დაბნედილი.
უნდა გითხრათ, „ფიურერი“ თავზე წამდგარს ჰგონობს რა ხიფათს,
დასტვენილი არტისტივით ველარ მალავს მუკვე სიფათს:
ჯერჯერობით ბერლინშია, ჯერჯერობით ხერულში ძვრება,
სკამი კი აქვს, მაგრამ მაინც სულ ფეხზე დგას, არა ჯდება,
დახტის, ცმუკავს, თვის ჩრდილს უფრთხის, რადიოში ებრძვის ეთერს,
გვირტყამენო—რომ ეტყვიან—გაიძახის „დონერ ვეტერს!“
მას გებელსი ეხვეწება:—ფიურერო, მომეც ნება,
შეგკადრო, რომ შენს ყოფაში ფეხზე დგომა არ იქნება.
აქვე ისე დაიღუღუნა, რომ ერთბაშად წაიქცევი
და თვითონ სთქვი—წაქციული აბა როგორ გაიქცევი?
გაქცევა კი, როგორც ხედავ, ჩვენ მოგველის დღეს თუ ხვალე,
მაგრამ გზები რომ მოგვიჭრეს,—სად გაგიქცეთ გენაცვალე?
ამ კითხვაზე „ფიურერი“ მიაშტერებს შუშის თვალებს,
მაგიდაზე დაჭკრავს მუშტსა და გიყივით შეღრიალებს:
— შენც პანიკას მისცემხარ შე ყვეყნო, შე უხეშო?
მე ჯამაგირს მიტომ გაძლევ, რომ დამფრთხალი მანუგეშო,
შენ კი შაფრთხობ უარესად? ამ შოთის გული ვერ იხელებს,
რად არ ბაძავ პრუსიელებს, ან ჭეშმარიტ ბერლინელებს?
— სწორედ ვბაძავ ფიურერო, სწორედ იმით ვბაძვ, რადგან,
შიშისაგან დამფრთხალ ცხვრების მე მაგალითის ვიღებ მათგან.
— როგორ საით? რას მიკეთებს მე საზღორები ჩანახერგი,
მიუვალი სიმაგრენი, მაგალითად, კენიგსბერგი?
— კენიგსბერგი, ფიურერო, რალას ნიშნავს, ვილას უნდა?
ისე შეჭკრეს და გასწურეს, ვით მოხარულ მხალის გუნდა.
— ოდერს მაინც რას უხამენ, ოდერს ვინლა გადმოლონავს?
ერთი წითელარმიელი მის ლურჯ ტალღებს ვერა ნახავს.
— ერთი იყოს—რა უშავდა, მაგრამ ერთმა კი არ ნახა,
იგი ასი ათასობით წითელ ჯარმა გადმოლახა!
— ჰა? ეს როდის?
— ეს წუხელის და დღევ შიშის გავითენეს!
უმოკლესი ბერლინის გზა მუჭარის ქვეშ დაგვიყენეს!
— ო, მაინ კამპუ! ბრაზი მახრობს, ველარა სძლეებს გული კანში,
რა მოელის გერმანიას, რა იქნება ახლო ხანში?
— მაგ საკითხზე, ფიურერო, ვით რადიოს ჩავწვდი ტონში,
მსჯელობაა გამართული დღეს შავი ზღვის რაიონში,
იქა სწყვეტენ თვით ჩვენ ხვედრსაც, მეც ეს მწვავს და ეს მანვლებს,
რას მიბრძანებ, როგორა ვქნა, რა გურჩიო გერმანელებს?
— ნუ გარბინართთო, სიცრუით შეიყოლო იქნებ იგი,
და ჩვენთვის კი—გასაქცევად მოამზადე თადარიგი.
— გასაქცევად მეც მზადა ვარ, კი გაგიქცეთ, მაგრამ საით?—
სთქვენს და ორივე მოიკავა ორ კითხვითი ნიშნისაგით..

ზარსაღანი



— რა გატირებს, კურტ, მართალია ბერლინიდან ევაკუაციას გიკეთებენ, მაგრამ გერმანიის გარედ ხომ არ მიყვებათ?
— მეც სწორედ ეგ გატირებს, რომ გერმანიის გარედ არ მიყვებათ!



გარდაიცვალა ჩვენი უფროსი დედა აქტიური თანამშრომელი ნიჭიერი იუმორისტი და პრესის მუშაკი ისაკი ივანეს-ძე ხინველი. ისაკი ხინველი საზოგადოებრივ მუშაობაში მასწინ ჩაება, როცა ახლად ეყრებოდა საფუძველი საბჭოთა სატირულ-იუმორისტულ პერიოდულ ორგანოს გამოცემას. უფროსად „ტარტარო-ზში“ შემოქმედებითი თანამშრომლობასთან ერთად, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა პრაქტიკულ საქმიანობაში და 15 წლის მანძილზე დაუღალავად მუშაობდა რედაქციის მდივნის თანამდებობაზე. მის ნიჭიერ კალამს ეკუთვნის სხარტად და მხატვრული ზომიერებით დაწერილი მრავალი სატირული მოთხრობა, სკეტჩი და ფელეტონი, რომლებსაც ათავსებდა ისკლის, ზმუჰის და სხვა ფსევდონიმებით. (საკმაო პაბლიკარობით სარგებლობდა მის მიერ შექმნილი ლიტერატურული ჯიპის „დედაჩის როზრობის“ სათავედასავლო მოთხრობების სერია და სხვ.). ი. ხინველი ამხელდა და ამართავებდა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მახინჯ მოვლენებსა და სოციალისტური მშენებლობისადმი მტრულად განწყობილ ელემენტებს. სამწუხაროდ ამ ნიჭიერ და ენერგიულ კალმის მუშაკს არ დასცალდა უფრო გაეშალა თავისი შემოქმედებითი მუშაობა. მძიმე სნეულდება ამ მოსწყვთილ საყვარელ სამუშაოს და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, უღროლად გამოასალმა სიცოცხლის. მისი ხსოვნა მუდამ დაუფიქრარი იქნება მეგობართა შორის.

„ნიანგის“ რედაქცია

ჩემი კოსტუმის აბაჯი

ერთი ახირებული შემთხვევა გადამხდა: ბინიდან საუცხოო ბოსტონის კოსტუმი მომპარეს და როგორც იტყვიან, „დედისშობილი“ დამტოვეს. მეორე დღეს გულს ამაჟუყებელი განცხადებით მიემართე ვაჭრობის სახკომისარიატს. მივიღეს, თბილად მომისმინეს და ტკბილად მითხრეს: — ხვალ მიაკითხე ზემო სართულში ორდერების გამაწილებელ ამხანაგს, ორდერი მიიღე და რამოდენიმე დ.ეში ისევ ახალ კოსტუმში გამოეწყობით. ამის შემდეგ ხშირი სტუმარი გახდი ვაჭრობის კომისარიატისა. ბევრი ვიარაგ, ბევრი-ვიცადე და ბოლოს მეღირსა დიდათ საიმედო პასუხი: — საიმედოს ჯერ ვერაფერს გეტყვით, შემოიარეთ ასე თვის ბოლოს. თვის ბოლოს შევარე. — შემოიარეთ კვარტალის ბოლოს, — ჯერ ლიმიტი არ დაშვებულა. შევიარე კვარტალის ბოლოს. — იცით რა? — მითხრა მან თავლოვან კილოზე, — კარგი იქნება თუ შემოვიღით ახალი კვარტალის მიწურულში, მაშინ დავუშვებთ ლიმიტებს. ორივე მტკიცე ნებისყოფისა აღმოვჩინეთ — ის დაპირებაში, მე — სიარულში. ბოლოს, მაინც ჩემმა გაიტანა — ერთ დღეს „ლიმიტის დაშვებას“ და სკამზე დამჯდარ გამაწილებელ ამხანაგს ერთად მივუსწარი. მან მოძებნა ჩემი განცხადება, გადაიკითხა, დიდხანს უხალისოდ უყურა და დამადლებს კილოთი მომმართა: — აი ჩვენა გვაქვს „არტიკულ 52“, „არტიკულ 150“, არტიკულ... — მე, ამხანაგო, მინდოდა ბოსტონი, ან მერიონის მაინც... მან ირონიით გადმოხედა და შემეკითხა: — ინდიოზე რას იტყვობ? — სიამოვნებით დაგთანხმდებით. მის ბაგებზე ლიმიტმა გადაირბინა. — გამოდის რომ ჩვენი მშობლიური წარმოება არ გყვარებია! — საიდან დაასკვნით? — შემკრთალად მივუხე მე — იქიდან, რომ ბოსტონის მატერია უფრო გაინტერესებს, ვიდრე თბილისისა. ამას ხედავ? და მან ერთი კონვერტიდან ერთი ცალი ორდერი ანთაძვრინა: — ეს არის ნამდვილი მატყლი, ჩვენებური ცხვრისა, შეიძლება შენს სოფელშიც კი გაკრიკეს ის. ჩვენში დართულია, ჩვენში მოქსოვილი, საუცხოოა; სხვისთვის იყო გადაღებული, მაგრამ შენი ხათრი იყოს, რაკი ამდენი იარე — მოგცემ, — ეს არის შევილი „თბილისი“ — გესმის? მე სიხარულისაგან სმენის უნარიც დამეკარგა. პირდაპირ ხელიდან გამოვტაცე ორდერი და გავქაწი უნივერსალისაყენ. მივდიოდი და თან სინდისის მამხილებელი ხმა ჩამძახოდა: — არა, მართლა რა სისულელეა ბოსტონზე ფიქრი, როცა აგერ გვაქვს თბილისის ფაბრიკა, მშობლიური ახალი წარმოება. — თანაც „თბილისის“ მარკით გამოშვებული ქსოვილი! რასაკვირველია, ჩინებული რამ იქნება, — ან კი როგორ შეიძლება სხვანაირად? განა ყველაფერი, რაც ახალია — თბილისში საუცხოო არ არის? განა ახალი ქუჩები, შენობები, ხიდები, წარმოებები, კეთილმოწყობა, — რაც საბჭოთა ეპოქამ შექმნა თბილისს, წარმტაცი და მომნიბლავი არ არის? მაშასადამე, რაკი „თბილისი“ ჰქვიან ნაწარმს — ეს იმას ნიშნავს, რომ მასში გამოხატულია მთელი ეს სიკარგე, კეთილზარისხვნობა, ერთის სიტყვით, მომნიბლავობა თბილისისა. ამ ფიქრში გართული მივადექი უნივერსალს, — ავირბინე კიბე და ქსოვილების განყოფილების დახლოვან მდგომ ჯუჯა გამოვდევს გაუფრად ორდერი. მან უსიტყვოდ გადმომიგორა უხეში ქსოვილის დიდი თოფი. შევხედე — ელდა მეცა, ხელი შოკვიდე — დამხვლიტა, მოვსრისე — ფიცარივით აჭრიალდა. — მე თბილისი მინდა! — შევბედე გამოვდევს.

— ვაჰ! ამას უყურეთ და, — ჩაიცინა ჯუჯამ, — იქნება ნიჭი ნოველორიც გინდოდეს... მე იმას გეტყვებ, რაც გიწერია აქ.
— მაინც რა არის ეს? — გულმოსულად შევეკითხე.
— ვა, ხამა ტო! — მრისხანედ მომიგო გამოვდევს, — ეს არტიკული კი არ გეგონოს, შალია, ნამდვილი ცხვრისაა, თხა არ გეგონოს, — ეს „თბილისი“, მააში და დაიწყო აზომვა. გულშემოყრილი, უხმოდ გამოველ მადახიდან. იმავე დღეს ჩემი „თბილისი“ „შეკრავთა კომუნას“ ჩავაბარე. თქვენს მტერს და დუშმანს, რაც მის შეკერვაზე მე გადახდა, ოთხ თვეს მაწვალეს, მაცდენინეს, მიმატანინეს ყველაფერი, რაც კი კოსტუმის შეკერვასთან ოდნავ მაინც არის დაკავშირებული: სარჩული, ძაფი, ნავთი, ნახშირი, ცხელი უთო, ცივი უთო, ნემსი, მაკრატელი, დილეგი და აი, გვარიანი „მალარჩის“ შემდეგ ღლიეს მეღირსა მისი ჩაცმა. — „თბილისის შევილი“! — რა ვუყოთ, სახელი შეუფერებელი დაუქმევიათ, მაგრამ მაინც ხომ ახალი. * * *

მე მზად ვიყავ, დამეწიყა გამოვლილი უსიამოვნება, როგორც ახალი კოსტუმის პატრონს, მაგრამ ერთი დიდათ საწყენი შემთხვევაც დაემატა ამ ამბავს: სწორედ იმ საღამოს, როცა „თბილისი“ ჩავიცვი, თეატრში გავწიე. მაგრამ აი ყისმათი, ჩემს ქუჩაზე უცბათ სამი ახალგაზრდის ალყაში აღმოვჩნდი. პირველმა ფინური დანა მოაბჯინა გულზე, მეორემ — სამართებელი ამიპრიალა თვალბთან, მესამემ — წმინდა, „ტკბილქართულით“ მომმართა, აი ისეთი „ტკბილქართულით“ — ჩვენი მოწაფეების და სტუდენტების ნაწილს რომ შეუთვსებია ახლა: — ჰა, ტო! პისკით გინდა დაგწერო? ვერაფერი გავიგე და შიშისაგან ლულულული დავიწყე. — ნუ არიფოფ ტო! — იფრო ფინთია შენთინა! — დასძინა მეორემ მე უარესად დავფეთდი, ძბოლოდ ვლულულულედი. მაშინ მესამე შემეკითხა: — ქართველი ხარ ტო! — ჰო, ქარ. — ქართველი ვარ! — ჰო და პროსტო ქართულათ გეუბნებიან რალა, გაიხადე, ნუ გვაგვიანეფ, — ამ ჩვენ ძმამ, — (მიმითთა მან პირველზე), — ხარში ერთი კასტუმი წააგო და დღეს პრავაკაჩატის სროკი აქვს გაიხადე, უნდა წაუღოს, პირს ხომ არ გადავაუნამუსო კაცივითა? ჭრალა თავი შეგაწყინოთ, ამ ზრდილობიან ხალხთან მუსაფის პროცესში მე უკვე თეთრეულის ამარა დავჩრი. ის იყო უნდა წაესულეყავ, რომ პირველმა დამცინავად დაიღროლა: — ერთი ამას უყურეთ ტო, რა ჩაუცვია ამ ბეხრეკსა! — ამის გახდას ნამუსიანი კაცი იკადრებს? — და ამხანაგებს ჩემი კოსტუმი აჩვენა. მეორემ ხელი შეავლო და ჩაიხითხითა: — გაუშვი ტო, გრუბი რაეფა, „თბილისი“, რათ გინდა? — და კოსტუმი სახეზე მომიფერთხა. დიდათ ნაწყენი და გულდაწყვეტილი დამშორდენ. იმ „ნამუსინამ“ და-ნოსნებმა კი არ იკადრეს ჩემი ახალი კოსტუმი! შეშინებული სახლშივე დაებრუნდი. მივდიოდი და გამხდლებს წინაშე ჩემი თავმოყვარეობის გაწილებებისათვის — საყვედურს ვუთვლიდი ჩვენი მსუბუქი მრეწველობის მუშაკებს, რომელთაც ასეთი უხეირო ქსოვილს უწოდეს ჩვენი საყვარელი დედაქალაქის სახელი.

შაკასადანი

(სცენა-სახალხო-სასამართლოში)

ირჩევა საქმე განკითხვის შესახებ. უცნობი ცოლი და ქმარი საჯაროდ ხელტყეფენ წმინდა ქორწინებით დამყარებულ კავშირს. ქმარი საშუალო ხნის კაცია, ასე 45 წლისა, მსუქანი ყბებით და ერთგვარი სტანდარტული ღიბით. ქალიც, ღმერთმა უშველოს, იქნება ასე დაახლოებით სრული 40 წლისა.

— პატივცემული მოსამართლე, — ნეოვილობს ქმარი, — თუ ღმერთი გწამთ უცბად განმაქორწინეთ ამ მანდილოსანთან

— რა მოტივით გსურთ დასაბუთოთ განკითხვის აუცილებლობა? — ეკითხება მოსამართლე.

— ხასიათით ვერ შევთანხმდით, პატივცემული მოსამართლე, — ჩვენ სულ სხვადასხვა ემოციების ხალხი აღმოვჩნდით, ერთმანეთს არ ვეთანხმებით.

— მაინც რაში გამოიხატა ემოციებათა სხვადასხვაობა, ხელოვნების რომელ საკითხში ვერ შეთანხმდით?..

— რას ბრძანებთ, პატივცემული მოსამართლე, რის ხელოვნება, რის ლიტერატურა... მე მოგახსენებთ ასეთ ემოციებაზე: მაგალითად, მე საოცრად მიყვარს პილპილიანი და საერთოდ ცხარე საქმელები. ამ ქალბატონს კი ეს ჭირივით ეყვარება!.. აბა თითონ სთქვით, განა მე ვალდებულ ვარ ვიცხოვრო ისეთ ქალთან, რომელსაც არ ესმის პილპილისა და, თუ გნებავთ, მე ასე ვიტყვოდი, საერთოდ მწვანის მნიშვნელობა ქართული სუფრისათვის?

— სხვა რა მოტივი გაქვთ?

— რა საჭიროა სხვა მოტივი, როცა ვეყრები საკუთარი სურვილით.

— ეს არ ქმარა!

— ბიჭოსო! ძალა ხომ არ არის! აღარ მინდა ცოლი, აღარ მიყვარს, მორჩა და გათავდა!

— თქვენი მოტივები დამყარებულია უმნიშვნელო წვრილმანებზე.

— ბატონო, მე უკვე მოგახსენეთ, რომ ეს ქალი აღარ მინტერესებს... აგერ დგას და გისაც გინდათ, იმას მიათხოვეთ. მე კი აღარ მსურს, მორჩა და გათავდა. მოსამართლე ქალს მიუბრუნდა.

— თქვენ რაღას იტყვით, თქვენც გინდათ გაეყაროთ?

— მე, პატივცემული მოსამართლე, — სთქვა მოზრცხვად ქალმა — უნდა მოგახსენოთ, რომ კარგა ხანია შევამჩნიე, რომ ამ ვაჟბატონს აღარ მოეწონვარ.

ქმარი (ცხარედ) — რაო, რაო? ვის არ მოეწონხარ! მე არ მოეწონხარ ხომ! ეს ცილისწამებაა, შეიტანეთ ოქმში.

ცოლი — რამდენი ხანია აღარ შევალერსება... ქმარი — გინ არ გეალერსება, შე უსინდისო, მე არ გეალერსები?.. არა, გმკობს ბი, მე არ გეალერსები ხომ! შეიტანეთ ოქმში.

ცოლი — ცხადია, რომ აღარ ვუყვარვარ, მაგრამ... ქმარი (აწყვეტილებს) — ცილისწამებაა, სიცრუეა, შეიტანეთ ოქმში... ცოლი — მაგრამ მე მაინც არ მინდა გავეყარო, და ძალიანაც რომ მინდაღეს ვერ გავეყრები... ჩვენ ოთხი შვილის პატრონი ვართ, რა უფლება გვაქვს ოჯახი დავანგრეთ!

ქმარი — მერე და ოთხივე ბავშვს ხომ შენ გიტოვებ, სხვა რაღა გინდა, შე უსინდისო!.. ბავშვებს ხომ არ გართმევ, სხვა რაღა გინდა!

ცოლი — გარდა ამისა, პატივცემული მოსამართლე, მე მასთან მაკავშირებს 20 წლის განმავლობაში ერთ ჭერქვეშ ცხოვრება და მიუხედავად იმისა, რომ ყბებიც გაუსუქდა და ღიბიც ასე სტანდარტულად ჩამოუყალიბდა, მე იგი მაინც მიყვარს.

ქმარი (ყვირის) — გთხოვთ შეიტანოთ ოქმში, აი ამ წუთში შეიტანეთ ოქმში... ესე იგი, ქალბატონო, მე მქონია მსუქანი ყბები, სტანდარტული ღიბი... მოსამართლე — რას მოითხოვთ თქვენი!

ქმარი — მე მოვითხოვ შეიტანოთ ოქმში ღიბის და ყბების შესახებ. მე უფრო მაღლა ვიჩივლებ.

მოსამართლე — დაწვინდით მოქალაქე! სასამართლო ფიქრობს, რომ თქვენი ქორწინების დარღვევისათვის არ არსებობს არავითარი-საფუძველი... აი, წელან თქვენ სამართლიანად აღელდით, როცა თქვენმა მეუღლემ ცილი დაგწამათ, თითქოს თქვენ იგი არ გიყვართ, არ მოგწონთ, არ ეალერსებთ. მე დარწმუნებული ვარ, თქვენ კიდევ გიყვართ და კიდევ მოგწონთ თქვენი მეუღლე, ხომ მართალია!

ქმარი (მშვიდად) — რაღა თქმა უნდა მართალია... ჩემი შვილების დედა თუ არ მიყვარს, აბა გიყვი ვყოფილვარ...

მოსამართლე — ახლა ეს მითხარით, განა თქვენ შეგიძლიათ დაადასტუროთ რომ თქვენი მეუღლე, ვსთქვათ, თქვენ ოდესმე გლალატობდათ?

ქმარი — არა, ცილს ვერ დავსწამებ. ამ მხრივ ჩემი დარიკო პირდაპირ ან-გელოსია.

მოსამართლე — და განა თქვენ მას არ უყვარხართ?

ქმარი | (დარცხვინით) — როგორ გეკადრებათ, პირიქით, ჩვენ ერთმანეთი სი-ცოლი! ყვარულით შევირთეთ.

მოსამართლე — ბოდიში, თქვენ რამდენი შვილი გყავთ?

ქმარი — ერთი ვაჟი და სამი ქალი... ვაჟი შარშან გაიწვიეს წითელ არშიაში და ახლა თურმე კენიგსბერგთან იბრძვის!

მოსამართლე — ყოჩაღ ბიჭო!

ქმარი — უფროსი ქალიშვილი 17 წლისაა და სულ ხუთებზე სწავლობს... მოსამართლე — ყოჩაღ გოგონაე!

ქმარი — დანარჩენი ორი ჯერ სულ პატარები არიან.

მოსამართლე — გაგიზარდოთ ღმერთმა. სწორედ ბედნიერები ყოფილხართ.

ქმარი | — მაღლობას მოგახსენებთ, პატივცემული მოსამართლე.

ცოლი | — მაღლობას მოგახსენებთ, პატივცემული მოსამართლე.

მოსამართლე — საქმე ის არის, რომ ახლა პატარებს ძალიან სათუთი მოვლა უნდა.

ქმარი — მაგ მხრივ სავსებით კმაყოფილი ვარ, პატივცემული მოსამართლე, ჩემი დარიკო თავს ევლებს ბავშვებს.

მოსამართლე — უნდა გამოგიტყდეთ, ბავშვები ძალიან მიყვარს და სიამოვნე-ბით გავეცნობოდი თქვენს ოჯახს...

ქმარი — თუ ჩვენს ოჯახში მობრძანებას ინებებთ, სწორედ დიდი ბედნიერება იქნება ჩვენთვის. ვეცდებით არ შევრცხვით და პატივი გცეთ.

მოსამართლე — რატომ, ჯერ თქვენ მობრძანდით ჩემს ოჯახში, შემდეგ მე გმწვევით ჩემს მეუღლით.

ცოლი — არა, არა, ჯერ თქვენ უნდა მობრძანდეთ.

მოსამართლე — ხომ ხედავთ — როგორ უცებ მოგნახტო საერთო ენა... აი ახლა კი გთხოვთ დაივიწყოთ გაუგებრობა და მხიარული სახით წახვიდეთ შინ.


ქმარი (ცოლს) — ეს რა კეთილი კაცი ყოფილა, მამა ნუ წამიწყვდება... მოსამართლე — ახლა კი ნახვამდის, თქვენ თავისუფალი ხართ.

ცოლი — გმადლობთ, პატივცემული მოსამართლე.

ქმარი — თქვენ ავაშენოთ ღმერთმა, სწორედ ბრძენი ყოფილხართ. ახლა ისე მივდივარ სახლში, თითქოს დღეს შემერთოს ჩემი დარკო, სანამ სახლში მივი-ყვანდე და გადავკოცნიდე, ერთი სული მაქვს... წავიდეთ დარიკო გენაცვალე, სულ შენი ბრალია, შემარცხვინე კაცი, ჩაყარე ხარხოში პილპილი, რა გენალღე-ბა... მშვიდობით, ჩემო ბატონო. (ბედნიერი ცოლქმარი გადის)

გაჟარი

„გ ა მ ზ ა ნ ი“ კ ა მ ი



ზოღბარი: — ძმაბიკები ბრალს მდებენ, თითქოს მე გამტანი კაცი არ ვიყო. არც ახლა დაიჯერებენ!



მადაცა აქვს, მარიფათიც,
ჭამით ღიბი ეცვიტება,
რაც კი მოსწონს — მაგნიტივით
სულ თავისკენ ეზიდება.

ქალაქ ზუგდიდის ბევრი აქვს
მოსაწონი, საქები,
წელს თეატრი გვექნება
სულ ქვეთვითი ნაგები,
წინ მოედანს მოვაწყობთ
ისე კობტად, ლამაზად,
მოემატოს მშვენივლა
ქალაქს ერთი-ათასად.
ამ ფიქრებით გართულმა
შევიარე ბულვარში,
ალბათ, ჩავიცივებდი,
რომ მქონდა ულვაში.
მთელი უბნის ღორები
ღრუტუნით და ზმორებით
ისვენებდნენ ხეებქვეშ,
საშიშარი რა ჰქონდათ,
ზოგი დაწოლილიყო,
ზოგიც მერე გაგორდა!
იქ რა გამაჩერებდა,
ეშვებს დამაძგერებდა
რომელიმე მაგანი.
ამივარდა კანკალი,—
მოვიმარჯვე ჩანგალი,
ამ დროს ერთმა მანქანამ
გვერდით ჩამოშიარა,
იგი ხალტურტრანსია,
„კოლბრანსი“ კი არა!
გული მქონდა მაგარი,

მეც ვატაკე ჩანგალი.
მერე რალაც ჯანდაბად
თმის გაკრეჭვა ვისურვე,
„დაი ტრიტატ რუბლილი“
უცებ ჩამირუსულეს.
იმ გასაქირს ნუ მკითხავთ!
ახლაც სული მეხუთვის...
მოვიკითხე პატრონი,
მითხრეს: კომგანს ეკუთვნის.
გეგმეჭკორის ქუჩაზე
ვერ გადავურჩი ტალახსა,
თუმცა აცრემლებული
შველას ვთხოვდი ალახსა!
აქ ხომ ვეღარ გაივლი,
ჭაობი და წყალია,
ნეტავ ვისი ბრალია?

.....
ჩემო ტკბილო „ნიანგო“,
აუწიე ყურები
ყველა ზემოდმნილებულს,
თორემ დაგემდურები.
და ანლა კი... საჩანგლოს
ისევ გამონახვამდის,
მბრძანებელს, მეუფევ,
ვამბობ: მალე ნახვამდის.

ხვითო.

გამაგებინეთ—რა გვარი ვარ?

—დავიბადე თუ არა, არც ვაცემ, არც ვაცხელი, იმ წუთშივე
პირდაპირ სამტრედიის მმარში გავიქეცი დაბადების მოწმობის ასა-
ღებათ. დედის მუცელშივე მესმოდა ხალხის ბუზღული მმარის
უხეირო მუშაობის შესახებ და ამიტომაც იყო, რომ ამ ქვეყანაზე
ჩემი პირველი რეისი მმარში გამგზავრებას ვუძღვენი.

ეს მოხდა 1937 წლის 12 ივნისს. მოგეხსენებათ, ივნისი სიცხია-
ნი თვე სამტრედიაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, ცხვირს მაინც
დამაცემინა.

—ხეირიო,—მომამახა ვილაცამ, უკან მოვიხედე და მამაჩემი და-
ვინახე, უკან გამომდგომოდა.

—აქ რას აკეთებ, გოგო?

—არაფერს, მმარის გამგეს ვუცდი მამილო, —მივუგე და თან
ცხვირი დავაცემინე.

—მის მოვლამდე არაფერი გეტყვინა, —მითხრა მამაჩემმა, ზურგ-
ზე ხელი დამკრა და ჩემს ასაყვანად მოემზადა.

—არ წამოვალ, არ წამოვალ, —გავფიქტადი.

—როგორ თუ არ წამოხვალ. რას ამბობ.

მამაჩემმა არც კი მაცალა ლაპარაკი, დამავლო ხელი და რკი-
ნიგზაზე რევიზორის მიერ ჩამორთმეული სანოვაციის სახლისკენ
გამაქანა. იმ დღის შემდეგ თითქმის ყოველდღე დავდიოდი დაბადე-
ბის მოწმობის ასაღებად, მ გრამ ამოად.

საკმაოდ წამოვიზარდე, თითქმის მმარის კარებთან ვარ აღზრდი-
ლი, შო და ერთ დღეს მ მამაჩემმა ასეთი შინაარსის მოწმობა მომიტანა:
„სამტრედიის მმარის არქივი. დაბადების მოწმობა. დაწელია ნუნუ
დავითის ასული. მშობლები: დუნდუა დავითი პოლიკარპის ძე. დედა
—ელენა იაკობის ასული, 1944 წლის 28 დეკემბერი...“ და სხვ.

ელდა მეცა: მე თუ დანელია ვარ, მამაჩემი დუნდუა საიდან იქ-
ნება?! და თუ მამაჩემი დუნდუა ეს დანელია საიდან მოიტანეს? ამ
დღიდან მოუხვეწრად დავდივარ, რ ვიცი რა არ ვიფიქრე, მე ნამ-
დვილი შვილი ვარ მამაჩემისა თუ არა? ამ მოწმობის შემდეგ ყველა
ექვსის თვალთ მიცქერის, მამაჩემი დაუინებით მარწმუნებს, რომ
ნამდვილია ჩემი შვილი ხარო, ცხადია, დედაც ამასვე იმეორებს.
მმარის მოწმობას თუ არ დავფიქრებთ, მე დუნდუა ვარ და არა
დანელია. ამას გარდა, წელს სკოლაში უნდა შევიდე, სექტემბერში
უკვე მერვე წელში ვიქნები. რ ვუთხრა სკოლის დირექტორს, რა
გვარი ჩავაწერინო უურნალში, აღარ ვიცი როგორ მოვიქცე.

სამტრედიის მმარის არქივის მუშაკებო! ჰქენით მადლი და გა-
მაგებინეთ რა გვარი ვარ?!

პატარა ნუნუ დანელია

ახალი პრეზუბი

- 1. ჩიტი ბღღუნად არ ღირდა, მაგრამ ინდოური სხსადი-
ლოს გამგემ წაიყვანა და მეტი რა გსა იყო.
- 2. ოფიციატს ჩოთქი უევაწს, თორემ ანგარბიანობა კი
არბო.
- 3. მსარეულის ჯამში ხოჭოც კი მსუქანი ჩავარდებო.
- 4. ლუკა გავარდეს—მეწურეს შექატოსო.
- 5. კომანდეტ-ნაჭანში კაცი „მშია, მშიასა“ მღეროდა.
- 6. „საქნილობსტანმა“ რა იცის ვაშლი რა ხილია.
- 7. მომხმარებელი ბჭობდა—ნოქარი იცინოდა.
- 8. ნოქარმა უთხრა გამგესო:
—ქაფი ორივეს გვარებებსო.

ახალი გამოცანები

- 1. წვალს-წვალი დაკვარო, ფული გავიკარო... (მელუდი)
- 2. სიძარტლისთვის მოიწვიეს ორნისკარტა ნიკანდრო.
გაიძახის:—ნოქარი ვარ, მოტყუება ვიკადროო?! (სახვორო)
- 3. ჯერ მუცლები გამოკვლადრეს, შემდეგ ფისი ჩავგასხესო.
ინსექტორი რომ გამოჩნდა, ჯიბეებში ჩავგავსესო. (მირაზი)



1. ინსპექტორმა ფასების დამახინჯება აღმოაჩინა და ჩანგალი მოსდო ოფიციალს ქაფქირიძეს. 2. ქაფქირიძემ დახმარებისათვის მიმართა ოფიციალს თეფშიშვილს და კოვზირიძეს. 3. საერთო ქვაბში სამიათსამა მანეთმა მოიყარა თავი. 4. ინსპექტორთან პირდაპირ მოლაპარაკება ვერ გაბედეს და შუამავლობა გამგეს დააკისრეს. „მე თქვენი ციცხვი ვარ, — უთხრა გამგემ, — განა არ ვიცი, რომ თითოეული თქვენთაგანი დღეში ათას მანეთს აკეთებს? თუ საქმის მოკვარასკინება გინდათ, ჩამოდით ექვსიათას მანეთს.“ 5. დაზარალებულებმა ფულს ფული მიამატეს და გული მოუღებეს განრისხებულ შუამავალსა და ინსპექტორს. 6. „მაგრამ რა შუაშია მომხმარებელი, შუაში რომ დავინახათო?“ — იკითხავს მკითხველი. შუაში სწორედ მომხმარებელია, რადგან „დაზარალებულ“ ოფიციალტებს რომ ფული არ შემოაკლდეთ, ერთიორად ახდევინებენ საჭმელ-სახმელის ღირებულებას.

საკრედიტო კოლეგია: ი. გრიშაშვილი, კ. კალაძე, უჩა ჯაფარიძე, ს. ფაშალიშვილი, გრ. აბაშიძე (პ/მგ. რედაქტორი).

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიი ჟურნალი „ნიანგი“ რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-10-49

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 1945 წ. 12/II. სახ. ლ. პ. ბერიას პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“ ლენინის ქ. № 28. გამოც. № 5. შვკ. № 116, უფ. № 01708.